საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

N 11/26
13/11/2019

11-26-4-201911131722

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის დოკუმენტების წარმოდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 29 ივლისის N126/01-01 ბრძანების, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის სხდომაზე დამტკიცებული ,,ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის“ მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადეს კონკურსი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად.
2. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2019 წლის 14 ნოემბრიდან 2019 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით, 10:00 - დან 17:00 საათამდე, სამუშაო დღეებში, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში (დოქტორანტურის საფეხურის სპეციალისტთან). მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №11 (თსუ-ს III კორპუსი), II სართული, ოთახი №205.
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

   ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 1);
   ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) სამეცნიერო პუბლიკაციების, განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი;
დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა;
ე) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
ვ) ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით.

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არა უგვიანეს 2019 წლის 2 დეკემბრისა.
5. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოქვეყნება დაევალოს კანცელარიას.
6. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თამარ გაგოშიძე

დეკანი
ადმინისტრაცია